„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

პრესრელიზი

ღვინის ეროვნული სააგენტო, სააქტო დარბაზი

2024 წ., 1 ივლისი, 10:00 – 14:10

2024 წლის 1 ივლისს ქ. თბილისში გამართება საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ეროვნული გზამკვლევისადმი მიძღვნილი მეოთხე პლენარული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მთავრობის მიერ ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით დაარსებული უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო და ცირკულარობის გზამკვლევის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“ (სბმკ „ორქისი) ექსპერტთა გუნდი.

პლენარული შეხვედრა ორგანიზებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სბმკ „ორქისი“-ს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. სბმკ „ორქისი“ წარმოადგენს ქვეპროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას, ხოლო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასში კოორდინატორის როლი აკისრია.

მეოთხე პლენარული შეხვედრა დაგეგმილია ქვეპროექტის გარდამტეხ ეტაპზე, როდესაც ცირკულარობის გზამკვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი მომზადებულია და მის მიზანია საბოლოო კონსულტაციის გამართვა უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოსთან, ვიდრე 2024 წლის ივლისის ბოლოსათვის ამ გზამკვლევის სამუშაო ვერსია დასრულდება და საკვანძო დაინტერესებულ მხარეებს განსახილველად გადაეცემათ. შეხვედრაზე სბმკ „ორქისი“-ს გუნდი სამსჯელოდ წარმოადგენს ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევის შემუშავების პროცესის ძირითად მიგნებებსა და დასკვნებს, რათა ამ დოკუმენტის დასრულებამდე მის მნიშვნელოვან ასპექტებზე უკუკავშირი იქნას მიღებული.

ქვეპროექტი „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. ქვეყნისათვის ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ეროვნული გზამკვლევის მომზადებასთან ერთად, იგი ცირკულარული ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში საკვანძო დაინტერესებული მხარეების, მათ შორის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს, გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების განვითარებას ითვალისწინებს, რისი მიზანიც არის ქვეყანაში ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება და მდგრადი განვითარების მიღწევა.

ქვეპროექტს უძღვებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი და ცირკულარული ეკონომიკის, მდგრადი დაფინანსების, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხების საერთაშორისო ექსპერტი, სბმკ „ორქისი“-ს გუნდის ხელმძღვანელი დოქტორი დარიუშ პრასეკი - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, გაეროს ცირკულარული ეკონომიკის მრჩეველთა საბჭოს წევრი და ამერიკათაშორისი განვითარების ბანკის (IDB Invest) განვითარების პროექტების დამოუკიდებელი ექსპერტი. მათ ეხმარება სბმკ „ორქისი“-ს გუნდი, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხებში ღრმად ჩახედული ექსპერტებით.

- ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია აღდგენით ხასიათს ატარებს და მისი მიზანია განვითარება სასრული რესურსების მოხმარებისაგან თანდათანობით გამიჯნოს. მას ხშირად მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებასა და მწვანე ეკონომიკასთან აკავშირებენ.
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიან, სისტემურ ცვლილებას მოითხოვს. სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, ეს კარგად გამართული, არადამამახინჯებელი პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შემოღებას ითვალისწინებს.
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშესაწყობად საქართველოს მთავრობამ ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული გზამკვლევის შემუშავება წამოიწყო: იგი წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმას, რომელიც გრძელვადიან ხედვასა და მის მისაღწევად საჭირო ძირითად ინიციატივებს განსაზღვრავს. ცირკულარობის გზამკვლევის საფუძველს ქმნის: ევროკავშირის ცირკულარული ეკონომიკის ახალი, 2020 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ევროპული „მწვანე შეთანხმების“ ძირეული ნაწილია; მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) სფეროში საქართველოს ვალდებულება; ცირკულარობის დონის შეფასების 2022 წლის ანგარიში; და საკვანძო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები.

პლენარული შეხვედრა ორგანიზებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სბმკ „ორქისი“-ს ერთობლივი ძალისხმევით, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. აღნიშნულ ქვეპროექტს სბმკ „ორქისი“ ახორციელებს, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაკოორდინირებელი როლი აკისრია.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ნინო კუჭავა

ტელ: 595335699

ელ-ფოსტა: orchisge@yahoo.com